"დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

_____ მ.ლომიძე

_____ 11 _____ 2020

სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

1 სარჩევი

1 სარჩევი 2
i. ცვლილებები 3
ii. ცვლილებების ისტორია 4
iii. მოქმედი გვერდების სია 5
2 დოკუმენტაციის კონტროლი 6
2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია 6
3 ძირითადი ნაწილი 7
მუხლი 1. ზოგადი დებულებები 7
მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები და უფლებამოსილებანი 7
მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი 8
მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა და თვითმმართველობის პრეზიდენტი 10
მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი 11

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება სტუდენტური თვითმმართველობის წევრების მონაწილეობით. შეცვლილი წესს დაამტკიცებს თვითმმართველობის პრეზიდენტი. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
სტუდენტური თვითმმართველობა	სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				**დამატებული გვერდი**			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**

ii. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი

iii. მოქმედი გვერდების სია

თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**		**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
0	1	0	ნოემბერი 2020					
1	2	0	ნოემბერი 2020					
i	3	0	ნოემბერი 2020					
ii	4	0	ნოემბერი 2020					
iii	5	0	ნოემბერი 2020					
2	6	0	ნოემბერი 2020					
3	7	0	ნოემბერი 2020					
3	8	0	ნოემბერი 2020					
3	9	0	ნოემბერი 2020					
3	10	0	ნოემბერი 2020					
3	11	0	ნოემბერი 2020					
3	12	0	ნოემბერი 2020					

2 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
სტუდენტური თვითმმართველობა	ბეჭდური	ძირითადი ასლი
სტუდენტური თვითმმართველობა	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

3 ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა არის უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულებითა და მართვის ორგანოებით, რომელიც ახორციელებს „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე მის გარეთ.
2. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.
3. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა, ან მასზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან დაუშვებელია.
4. სტუდენტური თვითმმართველობის ადგილსამყოფელია საქართველო, 0144 თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი №16, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის II კორპუსი, ოთახები №215 და №217.
5. სტუდენტურ თვითმმართველობას, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, აქვს საკუთარი ბეჭედი და დებულებით გათვალისწინებული სხვა ატრიბუტიკა.
6. სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:
   - 6.1. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი;
   - 6.2. ნებაყოფლობითი შემოწირულობები;
   - 6.3. მესამე პირის მიერ გადმოცემული ქონება, რომლის მართვაც ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;
   - 6.4. კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები და უფლებამოსილებანი

1. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:
   - 1.1. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები, როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ;
   - 1.2. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლებების პრაქტიკულ რეალიზაციაში;
   - 1.3. ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა;
   - 1.4. შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობის ან სხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და გაამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება;
   - 1.5. ფაკულტეტების მიხედვით მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში, წინადადებები წარუდგინოს ფაკულტეტებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
   - 1.6. დაგეგმოს და ჩაატაროს სხვადასხვა სახის ღონისძიება;
   - 1.7. ხელი შეუწყოს სტუდენტთა დამოუკიდებელი და რაციონალური აზროვნების განვითარებას.

2. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

2.1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის საფუძველზე წყვეტს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს;

2.2. გეგმავს და ახორციელებს სტუდენტთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობისა და სხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შეხვედრებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, კულტურულს (ტურიზმი), სპორტულ, გასართობ და კანონით ნებადართულ სხვა სახის ღონისძიებებს;

2.3. თანამშრომლობს სხვა საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე გაერთიანებებთან;

2.4. თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან;

2.5. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად ახორციელებს „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი

1. სტუდენტური თვითმმართველობა აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 2 წლის ვადით არჩეული 15 წევრისაგან.

2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრად აირჩევა სტუდენტი, რომელსაც აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება (ქულათა საშუალო არითმეტიკული უნდა იყოს 75 და მეტი).

3. არჩევნები ტარდება რექტორის აქტით შექმნილი, 6 წევრით დაკომპლექტებული საარჩევნო კომისიის მიერ, რომელიც ასევე ახორციელებს თვითმმართველობის არჩევნების საინიციატივო ჯგუფებისა და მათ მიერ წარდგენილი კანდიდატთა სიის რეგისტრაციას და ადგენს საარჩევნო სიებს. აღნიშნული აქტით ასევე განისაზღვრება ჩატარების დღე.

4. საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც უნდა შედიოდეს არანაკლებ 50 სტუდენტისა, საარჩევნო კომისიას წარუდგენს 15 კაციან კანდიდატთა სიას.

5. თუ საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი დოკუმენტები აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, საარჩევნო კომისია, განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა რეგისტრაციაში ატარებს საინიციატივო ჯგუფს და წარდგენილ კანდიდატთა სიას ანიჭებს რიგით ნომერს.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია საარჩევნო კომისიას წარედგინება არჩევნებამდე არაუგვიანეს 32-ე დღისა.

7. საარჩევნო სუბიექტებს უფლება აქვთ 30 დღის განმავლობაში აწარმოონ საარჩევნო კამპანია.

8. არჩევნების დღეს საარჩევნო ოთახში უზრუნველყოფილი უნდა იყოს თავისუფალი არჩევნების განხორციელების შესაძლებლობა და გამოკრული უნდა იყოს კანდიდატთა სიები, შესაბამისი რიგითი ნომრის მითითებით.

9. საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი და შესაბამის კანდიდატთა სია.

10. ამომრჩეველი (სტუდენტი) მოხაზავს მხოლოდ ერთ სასურველ კანდიდატის სიის რიგით ნომერს.

11. ბიულეტენი ბათილია, თუ ვერ ირკვევა ვის მისცა ამომრჩეველმა ხმა.

12. არჩევნები ტარდება 10:00 საათიდან 18:00 საათამდე

13. არჩევნების დასრულების შემდგომ საარჩევნო კომისია ითვლის ხმებს და აჯამებს არჩევნებს, რაზეც დგება არჩევნების შემაჯამებელი ოქმი.

14. თითოეული საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატთა სიიდან (15 კანდიდატიდან), თვითმმართველობის წევრის მანდატს მიიღებს კანდიდატთა სიაში არსებული პირების ის რაოდენობა, რამდენი პროცენტიც მიიღო კანდიდატთა სიამ. მიღებული ხმების პროცენტი გამოითვლება არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობიდან.
15. თუ მიღებული ხმების პროცენტი შეადგენს მთელი რიცხვის ნახევარს ან მეტს, პროცენტი დამრგვალდება მეტობით, ხოლო თუ რიცხვი შეადგენს მთელი რიცხვის ნახევარზე ნაკლებს, პროცენტი დამრგვალდება ნაკლებობით.
16. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი შემადგენლობიდან, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს, რომლის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის არანაკლებ 2 წევრს.
17. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:
    17.1. პირადი განცხადება;
    17.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან/და შეწყვეტა ;
    17.3. უნივერსიტეტის წესდების ან სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებული წესების დარღვევა;
    17.4. არასაპატიო მიზეზით, სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში ზედიზედ სამი თვის განმავლობაში მონაწილეობის მიუღებლობა;
    17.5. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;
    17.6. გარდაცვალება.
18. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:
    18.1. მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების მუშობაში;
    18.2. იქონიოს სათათბირო ხმის უფლება;
    18.3. აირჩიოს და თავად იყოს არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებში;
    18.4. დაიკავოს სტუდენტურ თვითმმართველობაში ნებისმიერი თანამდებობა;
    18.5. დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებებით მიმართოს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებს;
    18.6. მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ან თავად შეიმუშავოს და განახორციელოს ისინი;
    18.7. მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ;
    18.8. განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.
19. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:
    19.1. შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები;
    19.2. დაიცვას უნივერსიტეტისა და სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;
    19.3. ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;
    19.4. მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში;
    19.5. დაესწროს სტუდენტური თვითმმართველობის სხდომებს.

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა და თვითმმართველობის პრეზიდენტი

1. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:
   1.1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
   1.2. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტები;
   1.3. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტები;
   1.4. სტუდენტური თვითმმართველობის ფაკულტეტის თავმჯდომარეები;
2. სტუდენტური თვითმმართველობის ფაკულტეტის თავმჯდომარეებს სტუდენტურ თვითმმართველობაში წარმომადგენლობითი ფუნქცია აკისრიათ.
3. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები და დეპარტამენტები სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებია.
4. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც უძღვება სხდომებს და წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობებში.
5. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა 2 წლის ვადით.
6. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი შეიძლება იყოს პირი , რომელიც არის საქართველოს მოქალაქე, არის ქმედითუნარიანი და არ არის ნასამართლევი.
7. ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე წინა მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირს უწყდება უფლებამოსილება.
8. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:
   8.1. პირადი განცხადება;
   8.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან/და შეწყვეტა;
   8.3. მოქალაქეობის დაკარგვა;
   8.4. იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება;
   8.5. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;
   8.6. გარდაცვალება.
9. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს ვიცე-პრეზიდენტი.
10. საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების ან/და ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა არანაკლებ 1/3-ს შეუძლია დღის წესრიგში დააყენოს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი. პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარს დაუჭერს საერთო შემადგენლობის არანაკლებ 2/3.
11. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:
   11.1. ხელმძღვანელობს სტუდენტურ თვითმმართველობას;
   11.2. იწვევს სტუდენტური თვითმმართველობის სხდომებს;
   11.3. უძღვება საერთო სხდომებს;
   11.4. წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას უნივერსიტეტის ხელმძღვანელ ორგანოებსა და მესამე პირებთან ურთიერთობებში;
   11.5. სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელს აწერს ოფიციალურ ფინანსურ და იურიდიულ დოკუმენტებს;
   11.6. ხელს აწერს სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივ აქტებს;

11.7. ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების თარიღს, მოქმედი თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა;
11.8. განიხილავს პროექტებს და მათი დაფინანსების საკითხს;
11.9. განიხილავს ცალკეულ სტუდენტთა წინადადებებსა და მათი დაფინანსების საკითხს;
11.10. კოორდინაციას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას;
11.11. თვითმმართველობის დანარჩენ წევრებს წარუდგენს ვიცე-პრეზიდენტის(ვიცე-პრეზიდენტების) კანდიდატურებს;
11.12. უფლებამოსილია გადააყენოს ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტის მიერ დანიშნული სხვა პირები დაკავებული თანამდებობებიდან;
11.13. აკომპლექტებს სექტორების შემადგენლობას, ნიშნავს და ათავისუფლებს მათ დელეგატებს;
11.14. თავისი კომპეტენციის საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს ბრძანებებს;
11.15. ახორციელებს ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.

12. 14.სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ვალდებულია:
12.1. ნებისმიერ დროს წარადგინოს ანგარიში სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ.
12.2. დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის წევრების აუცილებელი მოთხოვნები.

13. უფლებამოსილების უკეთ განხორციელების მიზნით სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს ჰყავს 2 ვიცე-პრეზიდენტი, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლება-მოვალეობების განხორციელებას დეპარტამენტების დონეზე და უზრუნველყოფენ მათ კოორდინაციას შესაბამისი გადაწყვეტილების პრეზიდენტთან შეთანხმებით. ვიცე-პრეზიდენტი ასრულებს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობას მისი ადგილზე არ ყოფნის შემთხვევაში.

მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი

1. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი არის კონკრეტულ სფეროში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.
2. დეპარტამენტი შედგება დელეგატისა და წევრთა განსაზღვრული რაოდენობისაგან, რომლებიც მართავენ დეპარტამენტს და აქვთ სათათბირო ხმის უფლება.
3. დეპარტამენტის დელეგატებსა და დეპარტამენტში შემავალ წევრებს ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.
4. დეპარტამენტი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
5. დეპარტამენტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით.
6. სტუდენტურ თვითმმართველობაში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილია შემდეგი დეპარტამენტები:
6.1. განათლების;
6.2. მეცნიერების;
6.3. კულტურა-ტურიზმის;
6.4. სპორტის;
6.5. ტექნიკური უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (PR).

7. დეპარტამენტი უზრუნველყოფს ახალი წევრების მიღებას, ამასთან მისი წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც გამოხატავს დაინტერესებას დეპარტამენტის საქმიანობაში.
8. დეპარტამენტის წევრის მიღება ხორციელდება კანდიდატის განცხადების საფუძველზე, სურვილის გამოხატვის შემთხვევაში,
9. დეპარტამენტის წევრად მიღების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის დელეგატი პრეზიდენტთან შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე.
10. ამასთან, დეპარტამენტში არჩეული წევრებიდან, ხმის უფლებით სარგებლობს მხოლოდ ის პირი, რომელიც არჩეულია არჩევნების საფუძველზე, რომელთაგანაც წასვლის შემთხვევაში, მათ ჩანაცვლებას და შესაბამისი მანდატის გადაცემას ახალ წევრზე ახორციელებს პრეზიდენტი.
11. განათლების დეპარტამენტი გეგმავს და აწყობს დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, კონფერენციებს, საჯარო ლექციებსა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებს.
12. მეცნიერების დეპარტამენტი გეგმავს და აწყობს დისკუსიებს, ტრენინგებს, კონფერენციებს, საჯარო ლექციებს, ასევე პრაქტიკულ დატვირთვებსა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებს.
13. კულტურისა და ტურიზმის დეპარტამენტი გეგმავს და აწყობს გამოფენებს, კულტურულ, შემოქმედებით და კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს, შეხვედრებს სტუდენტური საზოგადოებისათვის სასურველ პიროვნებებთან. აგრეთვე, აწყობს ლაშქრობებს, ექსკურსიებს, სტუდენტთა დასვენებისა და განტვირთვისათვის საჭირო აქტივობებსა და კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს.
14. სპორტის დეპარტამენტი აწყობს ჩემპიონატებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში, აგრეთვე ცალკეულ სპორტის სახეობათა ფედერაციებთან და ახორციელებს კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს.
15. ტექნიკური უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სტუდენტური თვითმმართველობის სახელით აკეთებს ოფიციალურ განცხადებებს, სტუდენტურ საზოგადოებასა და დაინტერესებულ პირებს აცნობს და რეკლამირებას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობას, დაგეგმილ და ჩასატარებელ ღონისძიებებს; უზრუნველყოფს სტუდენტების ინტერესების მაქსიმალურად წარმოდგენას სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციონირებაში.
16. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტის წევრი ვალდებულია:
    16.1. შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე გათვალისწინებული ვალდებულებები;
    16.2. დაიცვას უნივერსიტეტისა და სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, მისი ავტორიტეტი და ქონება;
    16.3. ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;
    16.4. მიიღოს მონაწილეობა დეპარტამენტის საქმიანობაში;
    16.5. დაესწროს დეპარტამენტის სხდომებს.